პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**2023 წლის „ " დეკემბერი, ქალაქი ბათუმი**

**ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.32.17.401; 05.32.17.400; 05.32.17.402) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $კ^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს მურად შავლიძეს (პ/N61006000870), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 07 დეკემბრის N01-01-10/6776 წერილით დადგენილი მოთხოვნები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

**განმარტებითი ბარათი**
**პროექტის სახელწოდება და სათაური**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ "
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

მურად შავლიძის (პ/N61006000870) განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩაზე (საკადასტრო კოდებით: 05.32.17.400; 05.32.17.401; 05.32.17.402; 05.32.17.410, 05.32.17.031, 05.32.03.495, 05.32.03.877, 05.32.03.521, 05.32.03.594, 05.32.03.593, 05.32.03.621, 05.32.17.284, 05.32.03.883, 05.32.17.314, 05.32.03.632) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება. საპროექტო ტერიტორია მოიცავს ქალაქ ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N3 და N5-ში არსებული მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.32.17.401; 05.32.17.400; 05.32.17.402) მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობას. განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება ხდება 9,0-მდე.

საპროექტო ობიექტის სართულიანობა შეადგენს 25 სართულს. კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკომპენსაციოდ განმცხადებელი იღებს ვალდებულებას გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 10% გადასცეს ქალაქ ბათუმის მერიას.

წარმოდგენილი კონცეფცია გადაგზავნილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მოსაზრებისათვის, სამინისტროს 2023 წლის 07 დეკემბრის N 01-01-10/6776 წერილით, სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა კონცეფციის დამტკიცება და დადგინდა გარკვეული პირობები, რომლებიც დამკვეთმა უნდა გაითვალისწინოს გეგმა/პროექტის ეტაპზე.

გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის სანაცვლოდ დამკვეთი ვალდებულია გადამეტებული ინტენსივობის ფართობის 10% გადასცეს ქალაქ ბათუმის მერიას. აღნიშნული ვალდებულების შესახებ მითითებულია განკარგულების პროექტში.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე – არ გამოიწვევს.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ(ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

**ე) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ)** განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**

**პოლიტიკის სამსახურის უფროსი გიორგი წანაწყენიშვილი**